



საქართველოს საკანონმდებლო სიახლეები

იხელმძღვანელეთ კანონმდებლობით

კანონპროექტი „ენერგოეფექტურობის შესახებ“

ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმება ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობის დაახლოებას ევროკავშირის მოთხოვნებთან, რომელთა ერთ-ერთი მიზანია ენერგეტიკის სფეროში კონკურენტული ბაზრის ჩამოყალიბება. კანონპროექტის მიზანია ქვეყნის ენერგოეფექტურობის ხელშეწყობისა და განხორციელებისთვის საჭირო ღონისძიებების ზოგადი სამართლებრივი საფუძვლების განსაზღვრა „ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ“ ოქმით დადგენილი მიზნის მისაღწევად. ენერგოეფექტურობის პოლიტიკის განხორციელებისათვის, კანონპროექტი ადგენს საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (ენერგოეფექტურობის დარგში პოლიტიკის გამტარებელი უწყება) კომპეტენციას და მოვალეობებს, რომელთა საფუძველზეც სამინისტრო კონტროლსა და ზედამხედველობას უწევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ენერგოეფექტურობის ღონისძიებების განმახორციელებელ პირებს, მათ შორის ადმინისტრაციულ ორგანოებს. კანონპროექტი აგრეთვე ითვალისწინებს შენობებში და მრეწველობაში ენერგოეფექტურობის პოლიტიკის დანერგვას.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება „კომერციულ ბანკებში რისკის პოზიციების კონცენტრაციისა და მსხვილი რისკების შესახებ დებულების დამტკიცების შესახებ“

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 21 ნოემბრის N228/04 ბრძანების თანახმად, დებულების მიზანია ხელი შეუწყოს კომერციული ბანკებისა და ზოგადად საფინანსო სექტორის სტაბილურობასა და ჯანსაღ ფუნქციონირებას, რისკის პოზიციების კონცენტრაციისა და მის საფუძველზე წარმოშობილი მსხვილი რისკების მართვასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაწესებით.

ბრძანებით განიმარტა ბანკის მსხვილი რისკის პოზიცია ერთი პირის ან ურთიერთდაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფის მიმართ, რომლის ოდენობა უდრის ან აღემატება ბანკის პირველადი კაპიტალის 10%-ს. ბრძანებით აგრეთვე განისაზღვრა რისკის პოზიციების გაცემისათვის დაწესებული შეზღუდვები.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციული ღონისძიებების განხორციელების სახელმძღვანელო

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 1 ნოემბრის N210/04 ბრძანებით დამტკიცდა პრევენციული ღონისძიებების განხორციელების შესახებ სახელმძღვანელო, რომელიც ფინანსურ ინსტიტუტებს ეხმარება განსაზღვრონ, თუ რაზე გაამახვილონ ყურადღება AML/CFT რისკების მართვის პროცესში, როგორც კლიენტის მიღების, ისე საქმიანი ურთიერთობის მიმდინარეობისას. სახელმძღვანელო ითვალისწინებს KYC (იცნობდე შენს კლიენტს) სტანდარტის შესაბამისად კლიენტის პროფილის შექმნისა და ანალიზის გზებს. მასში აგრეთვე განსაზღვრულია გამარტივებული და გაძლიერებული პრევენციული ზომების გამოყენების საფუძველები და წესი, აგრეთვე განსაკუთრებული შემთხვევები, როგორცაა: პოლიტიკურად აქტიური პირები (PEP), მაღალი რისკის მქონე იურისდიქციები, უჩვეულო ტრანზაქციები და სხვა შესაძლო შემთხვევები.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №584 „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის („სამსახური“) მიერ იურიდიული პირის საზოგადოებრივი დაინტერესების პირად განსაზღვრის კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“

დადგენილება განსაზღვრავს იმ კრიტერიუმებს, რომელთა მიხედვით სამსახური, საზოგადოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე, განსაზღვრავს იურიდიულ პირს საზოგადოებრივი დაინტერესების პირად (სდპ). სდპ-ად განსაზღვრისთვის საჭიროა, რომ იურიდიული პირი წარმოადგენდეს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად დაფუძნებულ, სახელმწიფოს/მუნიციპალიტეტის 25%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით მოქმედ საწარმოს, რომელიც საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აკმაყოფილებს პირველი ან მეორე კატეგორიის საწარმოს კრიტერიუმს, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონის შესაბამისად.

ცვლილება „ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესის შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის („სამსახური“) უფროსის 2017 წლის 12 ივლისის №5-9 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„სამსახურის“ უფროსის 2019 წლის 1 ნოემბრის №1-17 ბრძანებით, ცვლილებები შევიდა „ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესის შესახებ“ ბრძანებაში, მათ შორის, ბრძანების 21-ე მუხლის მე-3 პუნქტს დაემატა შემდეგი შინაარსის წინადადება: „საბოლოო დასკვნითი შეფასების გაცემისას სამსახური უფლებამოსილია შეზღუდოს საზოგადოებრივი დაინტერესების პირების („სდპ“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელების უფლებამოსილება გარიგების პარტნიორისთვის.“ ამასთან, ამავე მუხლს დაემატა 3¹ და 3² პუნქტები, რომლებითაც განისაზღვრა აუდიტორული ფირმებისა და გარიგების პარტნიორების კრიტერიუმები, რომლებიც უფლებამოსილი არიან პირველი (გარიგების პარტნიორი, რომელზეც სამსახურის მიერ გაიცა პირველი, მეორე ან მესამე კატეგორიის დასკვნა) და მეორე (გარიგების პარტნიორი, რომელზეც სამსახურის მიერ გაიცა პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე კატეგორიის დასკვნითი შეფასება) ზომითი კატეგორიების საწარმოების და ჯგუფების ანგარიშგების აუდიტის განხორციელებაზე. ამასთან, სდპ-სათვის აუდიტორული მომსახურების გაწევის უფლებამოსილება შეიძლება მიენიჭოს აუდიტორული ფირმის გარიგების პარტნიორს, რომელზეც გაცემულია პირველი ან მეორე კატეგორიის დასკვნითი შეფასება.

სასამართლო პრაქტიკა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2019 წლის 14 ნოემბერს გამოიტანა გადაწყვეტილება საქმეზე №2/5/879. დავის საგანს წარმოადგენდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 75-ე მუხლის მე-8 პუნქტის პირველი („თუ დადგენილი წესით ჩატარებული აუქციონი, რომელიც შედგება პირველი აუქციონისა და ორი განმეორებითი აუქციონისაგან, უშედეგო აღმოჩნდა და ქონება არ გაიყიდა, ეს ქონება თავისუფლდება იძულებითი რეალიზაციის განმახორციელებელი კრედიტორის სასარგებლოდ დადებული ყადაღისაგან.“) და მე-2 წინადადებების („ამ ქონებაზე იმავე მოთხოვნასთან დაკავშირებით იმავე კრედიტორის სასარგებლოდ სააღსრულებო წარმოება აღარ განხორციელდება.“) შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) მიმართებით. კონსტიტუციის ხსენებული დებულება განამტკიცებდა სამართლიანი სასამართლოს უფლებას (2017 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებით, იდენტური შინაარსის დებულებამ გადაინაცვლა 31-ე მუხლში). ახალი რედაქციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება უზრუნველყოფილია.“

სადავო ნორმის მიხედვით, სამ აუქციონზე ქონების რეალიზაციის შეუძლებლობის შემთხვევაში ეს ქონება თავისუფლდება იძულებითი რეალიზაციის განმახორციელებელი კრედიტორის სასარგებლოდ დადებული ყადაღისაგან და ამ ქონებაზე იმავე მოთხოვნასთან დაკავშირებით იმავე კრედიტორის სასარგებლოდ სააღსრულებო წარმოება აღარ განხორციელდება. ქონების ყადაღისგან გათავისუფლება შესაძლებლობას აძლევს მის მესაკუთრეს თავისუფლად განკარგოს იგი, მათ შორის გაასხვისოს სხვა პირზე. სასამართლოს შეფასებით, სადავო ნორმა ფაქტობრივად გამორიცხავს კრედიტორის მიერ ამ ქონების სამომავლოდ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად გამოყენებას, მათ შორის იმ შემთხვევაში, როდესაც ამკარად გაზრდილია ქონების შეძენის მიმართ ინტერესი და მისი რეალიზაციის შანსი. ამ თვალსაზრისითაც, სადავო ნორმა იმაზე ფართო შეზღუდვას აწესებს, ვიდრე ეს ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად არის საჭირო. სასამართლოს აზრით, კანონმდებელს შეეძლო შეემუშავებინა უფლების

ნაკლებად მზღლუდავი ღონისძიება, რომლის ფარგლებშიც მხედველობაში იქნებოდა მიღებული ქონების გარკვეული ვადის შემდგომ რეალიზაციის შესაძლებლობა და უვადოდ არ გამოირიცხებოდა კრედიტორის მიერ საკუთარი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ამ ქონების გამოყენება.

სასამართლოს მოსაზრებით, სადავო ნორმით გათვალისწინებული შეზღუდვა იმაზე ფართოა, ვიდრე ეს ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად არის ობიექტურად საჭირო. სასამართლოს გადაწყვეტილებით, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 75-ე მუხლის მე-8 პუნქტის პირველი და მე-2 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სამი აუქციონის უშედეგოდ დასრულების შემთხვევაში მოვალის ქონების ყადაღისაგან გათავისუფლებას და ამ ქონებაზე იმავე მოთხოვნასთან სააღსრულებო წარმოების განხორციელების აკრძალვას, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.


საკონტაქტო ინფორმაცია

შეკითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მიმართოთ დელოიტის საქართველოს ოფისის შესაბამის თანამშრომლებს:



გიორგი თავართქილაძე

საგადასახადო და იურიდიული
დეპარტამენტის დირექტორი
gtavartkiladze@deloitte.ge



გიორგი ხუროძე

იურიდიული სამსახურის უფროსი
gkhurodze@deloitte.ge

თბილისი

ბიზნეს ცენტრი King David

მერაბ ალექსიძის ქ. 12, მე-15 სართული
თბილისი, 0171,
საქართველო

Tel: +995 (32) 224 45 66

Fax: +995 (32) 224 45 69

deloitte.ge

deloitte.ge

დელოიტის შესახებ

დელოიტი გულისხმობს ერთ ან რამოდენიმე დელოიტ ტუმ ტომაცუ ლიმიტედის კომპანიას, რომელიც წარმოადგენს გარანტიით უზრუნველყოფილ ბრიტანულ კერძო კომპანიას (DTTL), მისი წევრი კომპანიების ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს. DTTL და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს. DTTL (რომელიც ასევე მოიხსენიება როგორც გლობალური ქსელი „დელოიტი“) კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით. DTTL-ისა და მისი წევრი კომპანიების დეტალური აღწერისთვის გთხოვთ იხილოთ www.deloitte.com/about.

დელოიტი ახორციელებს აუდიტორულ, საკონსულტაციო, ფინანსური რჩევების, რისკების მართვის, საგადასახადო და მასთან დაკავშირებული მომსახურებების მიწოდებას, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო კომპანიებისთვის. დელოიტი - კომპანიების გლობალური ქსელი, ჟურნალ „Fortune“-ს მიერ გამოქვეყნებული მსოფლიოს 500 უმსხვილესი კომპანიიდან დაახლოებით 400-ს ემსახურება 150-ზე მეტ ქვეყანაში მოღვაწე წევრი კომპანიების მეშვეობით. დელოიტი კლიენტებს უზრუნველყოფს მსოფლიო მასშტაბის შესაძლებლობებითა და უმაღლესი ხარისხის მომსახურებით, ურთულესი ბიზნეს-ამოცანების გადასაჭრელად. დელოიტში დასაქმებული 312 000-ზე მეტი პროფესიონალი გამსჭვალულია მიზნის მიღწევის იდეით. მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ჩვენს გვერდებს სოციალურ ქსელებში [Facebook](#), [LinkedIn](#), [Twitter](#).

ეს შეტყობინება მოიცავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას და შესაბამისად არცერთი, დელოიტ ტუმ ტომაცუ ლიმიტედი (DTTL), მისი წევრი კომპანიები და დაკავშირებული ორგანიზაციები (ერთობლივად წოდებულნი როგორც „დელოიტის ქსელი“) ამ შეტყობინების საფუძველზე არ იღებს პასუხისმგებლობას საკონსულტაციო ან პროფესიული მომსახურების მიწოდებაზე. რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე ან ქმედების განხორციელებამდე, რომელიც გავლენას იქონიებს თქვენს ფინანსებსა და ბიზნესზე, უმჯობესია კონსულტაცია გაიაროთ კვალიფიციურ კონსულტანტთან. „დელოიტი“-ს ქსელის არცერთი წევრი კომპანია არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი პირის რაიმე სახის დანაკარგზე, რომელიც ეყრდნობა ამ შეტყობინებას.